ჩემი აუზის სიგრძე ერთი თვის სავალი გზაა. მისი წყალი უფრო თეთრია ვიდრე რძე, მისი სურნელი კი უკეთესია, ვიდრე მუსკუსი

აბდულლაჰ იბნ 'ამრმა (ალლაჰი იყოს ორივეთი კმაყოფილი) თქვა, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: "ჩემი აუზის სიგრძე ერთი თვის სავალი გზაა. მისი წყალი უფრო თეთრია ვიდრე რძე, მისი სურნელი კი უკეთესია, ვიდრე მუსკუსი. მისი სასმისები ცის ვარსკვლავების მსგავსია. ვინც მისგან დალევს, არასდროს მოსწყურდება".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას გვამცნობს), რომ განკითხვის დღეს მას ექნება აუზი, რომლის სიგრძე და სიგანე ერთი თვის სავალი გზის ტოლია. მისი წყალი უფრო თეთრია, ვიდრე რძე, მისი სურნელი უფრო არომატულია, ვიდრე მუსკუსი, მისი სასმისები ცის ვარსკვლავებივით მრავლადაა, ვინც ამ აუზიდან ამ სასმისებით დალევს, მას არასდროს მოსწყურდება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65030